ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა

იულია კრისტევა

ჰანა არენდტი: სიცოცხლე ნარატივია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2014

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა ISSN 1512-2042

სერიის რედაქტორი: **თამარ ცოფურაშვილი**

სერიის II წიგნი

HANNAH ARENDT: LIFE IS A NARRATIVE
Julia Kristeva

ჰანა არენდტი: სიცოცხლე ნარატივია
იულია კრისტევა

მთარგმნელი: **თამარ ონოფრიენკო**
სამეცნიერო რედაქტორი: **ლუკა ნახუცრიშვილი**
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **თინათინ კვირკველია**

© University of Toronto Press 2001.
Original edition published by University of Toronto Press,
Toronto, Canada.

ISBN 978-9941-18-202-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა 1

თავი პირველი
სიცოცხლე ამბავია 2

თავი მეორე
არენდტი და არისტოტელე: თხრობის აპოლოგია 9

თავი მესამე
მეოცე საუკუნის თხრობა 23

თავი მეოთხე
„ვინ“ და სხეული 38

თავი მეხუთე
მსჯელობა 52

შენიშვნები 65

ავტორის წინასიტყვაობა

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი პროფესორ ნესელროთს, რომელმაც მიმიწვია შედარებითი ლიტერატურის ცენტრში და შესაძლებლობა მომცა, გავცნობოდი და შემეფასებინა ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა მაღალი დონე. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო University College-ის პროფესორის, პოლ პერონის მიმართ, რომლის ინიციატივაც იყო ასე ცნობილი Alexander Lectures-ის ფარგლებში ჩემი მოწვევა, ლექციების თარგმნისთვის კი მადლობელი ვარ პროფესორ ფრანკ კოლინსისა.

ამ ლექციებში ვეხები ჰანა არენდტის შემოქმედების ზოგიერთ ფილოსოფიურ ასპექტს – ისეთი ცნებების გაგებას, როგორიცაა ენა, თვითი, სხეული, პოლიტიკური სივრცე და სიცოცხლე. ვრცლად აღარ განვიხილავ მის უკვე კარგად ცნობილ და ერთობ სიღრმისეულად გაანალიზებულ ისეთ პოლიტიკურ ნაშრომებს, როგორიცაა *ტოტალიტარიზმის საწყისები*, *აიხმანი იერუსალიმში* და *რესპუბლიკის კრიზისები*, თუმცა მათ არასოდეს ვივიწყებ და თქვენგანაც იგივეს ვისურვებდი ჩემი არგუმენტების მოსმენისას. ვიმედოვნებ, რომ ჩემი უფრორე ფილოსოფიური, ვიდრე პოლიტიკური მოსაზრებები არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაგვეხმარება, უკეთ ცხადვყოთ, როგორც არენდტთან არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობა, ასევე მისი პოზიციის მცდარი გაგება.

თავი პირველი

სიცოცხლე ამბავია

ჰანა არენდტი (1906-1975) წერდა: „ზოგიერთი ადამიანი ისეა გაშიშვლებული (exposed) საკუთარ ცხოვრებაში (მხოლოდ ცხოვრებაში და არა პიროვნებაში!), რომ იგი, როგორც წესი, იქცევა ხოლმე *სიცოცხლის* შერწყმის წერტილად და კონკრეტულ ობიექტივაციად".[1] ამ სტრიქონებით მან ჯერ კიდევ ოცდაოთხი წლის ასაკში იწინასწარმეტყველა საკუთარი ბედი. ამ დროისათვის იგი უკვე იცნობდა ჰაიდეგერს და მისი შეყვარებაც მოესწრო – მთელ მის ცხოვრებაში ყველაზე მომხიბვლელი ადამიანისა; კარლ იასპერსის ხელმძღვანელობით მას უკვე დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია *სიყვარულის ცნება წმინდა ავგუსტინეს შემოქმედებაში*.[2] თავიდანვე უდავოდ „გაშიშვლებულად" გრძნობდა თავს, იმდენად, რომ შეიძლებოდა სიცოცხლის შერწყმისა და ობიექტივაციის სანიმუშო მაგალითადაც წარმოჩენილიყო.

განზრახული ჰქონდა თეოლოგი გამხდარიყო, თუმცა შემდგომში თავი მიუძღვნა მეტაფიზიკის შესწავლასა და „განიარაღებას". „სიცოცხლე" ახალგაზრდა ფილოსოფოსისათვის იქცა აზროვნების სივრცედ, – უპირველეს ყოვლისა, „უბრალოდ თავად სიცოცხლედ": ჰანა არენდტმა, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად 1933 წელს დატოვა გერმანია და ამდენად, აირჩია ემიგრაცია, რათა შოას (Shoah) გაქცეოდა. გარბოდა დაცარიელებული ევროპის გავლით; ჯერ პარიზში გაჩერდა, მოგვიანებით კი, 1941 წელს გაეშურა ნიუ-იორკისაკენ, სადაც ათი წლის შემდეგ მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. ის გახდა პოლიტიკური კომენტატორი და სათავეში ჩაუდგა ანტისემიტიზმისა და ტოტალიტარიზმის საწყისების კვლევას იქამდე, სანამ სრული ტრიუმფით დაუბრუნდებოდა ცნობიერების სიცოცხლეზე თავის ფუნდამენტურ მედიტაციას.

თავიდანვე იმ ვნებით შეპყრობილს, რომლის ფარგლებშიც „სიცოცხლე" და „აზროვნება" ერთი და იგივეა, მის ცვალებად, თუმცა კი სავსებით თანმიმდევრულ ინტელექტუალურ ოდისეას არასოდეს შეუწყვეტია „სიცოცხლის თავისთავად" და „სიცოცხლის თავისთავში," როგორც ნათელსაყოფ ცნებებზე კონცენტრი-

რება. სწორედ ამიტომ, ჰანა არენდტი, შორს იყო რა „პროფესიონალი მოაზროვნეობისაგან," აზროვნებას საკუთარი ცხოვრების *წარმმართველად* მიიჩნევდა: ამ სპეციფიკურად არენდტიანული ნიშნით ცდუნებულებმა შესაძლოა, დავინახოთ ამაში რაღაც ქალისთვის უნიკალური, რამდენადაც „განდევნა" (ფროიდისეული მნიშვნელობით) სწორედ ქალებისთვის მიიჩნევა „პრობლემურად" და ამდენად, ისინი თითქოს ვერ განცალკევდებიან წმინდა აზროვნების აკვიატებებით შეშლილ ციხე-სიმაგრეში, სადაც მამაკაცები ასე წარმატებით უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და, სანაცვლოდ, ღუზა ჩაუშვიათ საკუთარი სხეულების რეალობასა და სხვებთან ურთიერთობებში.[3]

მაგრამ მის ნაწერებში „სიცოცხლე" აზროვნების წარმმართველ თემად იქცევა და რამდენადაც ის პოლიტიკის ისტორიასა და მეტაფიზიკას განიხილავს, ეს თემაც უფრო და უფრო იხვეწება და მძაფრდება. ეს თემა განმსჭვალავს მის აზროვნებას, როდესაც მოგვიანებით არენდტი დიდი ინტელექტუალური გამბედაობით დაადგენს (რის გამოც უძლიერეს წინააღმდეგობას წააწყდება), რომ ნაციზმი და სტალინიზმი ერთი და იგივე საშიშროების, ტოტალიტარიზმის, სახესხვაობებია, რადგანაც ისინი ერთმანეთს ერწყმიან ადამიანის სიცოცხლის ერთნაირ უარყოფაში.

მისი მძიმე ტონი, რომელშიც ბრაზი შეფერილია ირონიით, გასთქვამს საზრუნავს, რომელიც ზოგჯერ აპოკალიფსურადაც კი ჟღერს, რადგანაც როცა არენდტი აცხადებს, რომ „რადიკალური ბოროტება" ჩაბუდებულია ადამიანის „ზედმეტად" ქცევის „პერვერსიულ ნებაში" (კანტიანური აზრით) – სხვა სიტყვებით, როგორც წარსული, ისე ლატენტური ტოტალიტარული ადამიანი ანგრევს ადამიანურ *სიცოცხლეს* მას შემდეგ, რაც საზრისს ართმევს ყველა სიცოცხლეს, საკუთარი თავის ჩათვლით. უფრო მეტიც, ადამიანური სიცოცხლის ეს „ზედმეტობა," რომლის არსებობასაც არენდტი ხაზს უსვამს იმპერიალიზმის აღორძინებაში, არ უჩინარდება თანამედროვე დემოკრატიებში, რომლებშიც ბატონობს ავტომაცია, არამედ პირიქით:

> „...შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური ბოროტება მოგვევლინა იმ სისტემასთან კავშირში, რომელშიც ყველა ადამიანი თანაბრად ზედმეტი გახდა. ამ სისტემის მანიპულატორებს ისევე სჯერათ საკუთარი „ზედმეტობისა," როგორც ყველა სხვას, ხოლო

ტოტალიტარული მკვლელები კიდევ უფრო საშიშნი ხდებიან, რადგანაც არად დაგიდევენ, თვითონ ისინი ცოცხალნი იქნებიან თუ მკვდარნი, ოდესმე უცხოვრიათ ან დაბადებულან თუ არა. გვამების ქარხნებისა და დავიწყების ხვრელების საშიშროება ისაა, რომ დღეს, მოსახლეობისა და უსახლკარობის ზრდის პირობებში, ხალხთა მასები სულ უფრო ზედმეტი ხდება, თუკი გავაგრძელებთ ჩვენი სამყაროს გააზრებას უტილიტარიზმის ჩარჩოებში. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხდომილებები ყველგან იდუმალ შეთქმულებაშია იმ ტოტალიტარულ ინსტრუმენტებთან, რომლებიც ადამიანის ზედმეტად ქცევისთვისაა შექმნილი."[4]

ასეთი საშიშროების საპირისპიროდ თავის წიგნში *ადამიანური მდგომარეობა* არენდტი აგებს სიცოცხლის დაცვის მძლავრ კონსტრუქციას. იმგვარი სიცოცხლის საპირისპიროდ, რომელიც რუტინულად იწარმოება კონსუმერიზმის ვიტალისტური დეტერმინირებულობისა და „ვიტალური პროცესებისათვის" თანამედროვე ტექნოლოგიის თავდადების სულით, არენდტი ხოტბას ასხამს თითოეული და ნებისმიერი დაბადების უნიკალურობას, რომელიც დასაწყისია იმისა, რასაც იგი უყოყმანოდ უწოდებს „სიცოცხლის სასწაულს":

„სასწაული, რომელიც მსოფლიოს, ადამიანთა მოღვაწეობის სამყაროს იხსნის მისი ნორმალური, „ბუნებრივი" ნგრევისგან, არის დაბადებითობის ფაქტი, რომელშიც ონტოლოგიურად არის ფესვგადგმული მოქმედების უნარი. ეს, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არის ახალი ადამიანის დაბადება და ახალი დასაწყისი მოქმედებისა, რომლის უნარიც მას შესწევს დაბადების წყალობით. მხოლოდ ამ უნარის სრული განცდით ენიჭებათ ადამიანურ საქმეებს რწმენა და იმედი, ორი ნიშან-თვისება ადამიანური არსებობისა, რომელსაც ბერძნული ანტიკურობა საერთოდ არ იცნობდა ... სამყაროსადმი რწმენა და იმედია ის, რამაც თავისი უბრწყინვალესი და მრავლისმეტყველი გამოხატულება ჰპოვა იმ რამდენიმე სიტყვაში, რომლებითაც სახარებები გვამცნობენ „მხიარულ უწყებას": „ყრმა იშვა ჩვენს შინა."[5]

დღეს ჩვენთვის გაცილებით უფრო რთულია ამ *სიცოცხლის* მიღება – ეს ქრისტიანული და პოსტქრისტიანული დემოკრატიებისათვის წმინდათაწმინდა ღირებულება, ისტორიული ევოლუციის არცთუ ისე შორეული პროდუქტია. ჩვენთვის ასევე რთულია თვალებში ჩავხედოთ მისი განადგურების საფრთხეს. სწორედ

რომ ამ ფუნდამენტური ღირებულების, ქრისტიანულ ესქატოლოგიაში მისი კონსტრუირების, თანამედროვე მსოფლიოში მისდამი მიმართული საფრთხის ძიების მცდელობაა არენდტის მთელი შემოქმედება – წმინდა ავგუსტინეს შესახებ მისი *დისერტაციიდან* დაწყებული, დამთავრებული მისი ხელნაწერით მსჯელობის უნარის თაობაზე – და იქნებ მართლაც სწორედ ეს ძიებაა ის, რაც იდუმალად აგებს მთელ მის შემოქმედებას.

„ნაამბობი სიცოცხლის", „ბიო-გრაფიის" გულმხურვალე თაყვანისმცემელ ჰანა არენდტს თავად არასოდეს დაუწერია არც ავტობიოგრაფია და არც რაიმე მოთხრობა. მისი ახალგაზრდობის მხოლოდ ერთი ტექსტი *რახილ ფარნჰაგენი: ებრაელი ქალის ცხოვრება*[6] თუ მიუახლოვდება იმ ტიპის თხრობას, რომელსაც ეს ფილოსოფოსი და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტი, არისტოტელეს დარად, მიაწერდა სიცოცხლის სრულყოფილად შეხების პრივილეგირებულ სტატუსს, თანახმად „მოქმედების" ღირსებისა. ნაშრომი დაასრულა 1933 წელს, წმინდა ავგუსტინეს შესახებ დისერტაციის დამთავრების შემდეგ და ბერლინის დატოვებამდე. ბოლო ორი თავი მიამატა მოგვიანებით, 1938 წელს, თუმცა კი თავად ნაშრომი 1958 წლამდე არ დაბეჭდილა.

იღებს რა ამოსავალ წერტილად ინტელექტუალურ ცხოვრებას, მიუხედავად მეტაფიზიკური ტრადიციის კრიტიკისა, რომელიც პრივილეგირებულ სტატუსს ანიჭებდა მჭვრეტელობით ცხოვრებას ქმედით ცხოვრებასთან შედარებით, არენდტი გადაწყვეტს, უფრო დიდი ღირებულება მიანიჭოს, „ფასეულ-ჰყოს" ქმედითი ცხოვრება და ამას ამართლებს იმით, რომ ქმედითობას განიხილავს, როგორც სიცოცხლეს; თუმცა, ამასთან *ადამიანურ მდგომარეობას* იგი მიჰყავს „სიცოცხლის", როგორც ყველაზე დიდი ნიჰილისტური ღირებულების უპრეცედენტო უარყოფამდე. ვიტალისტური ქმედება, რომელსაც homo faber* მიჰყავს აპოთეოზამდე, მაგრამ რომელიც მას ასევე ატუსაღებს იმ ტიპის ცოდნის რობოტიზაციით, რომელიც „გამოიანგარიშებს" „აზროვნების" გარეშე – მკაცრად არის დაგმობილი. ამდენად, ეხმიანება რა ავგუსტინეს მოსაზრებებს „უგულებელსაყოფი" სიცოცხლის", beate vivere

* *ბერძ.* მწარმოებელი, მკეთებელი ადამიანი (მთარგმნ. შენიშვნა).

თუ summum esse-ში* ჩაურთველი სიცოცხლის შესახებ, არენდტი ილაშქრებს კონსუმერიზმის წინააღმდეგ, რომელიც ნთქავს ადამიანურ სიცოცხლეს მაშინ, როცა ეს სიცოცხლე მხედველობიდან კარგავს მარადიულს.[7] იგი ამხელს ინდივიდუალური სიცოცხლის და უფრო მეტად კი „მოდგმის სიცოცხლის" კულტს, რომელიც საკუთარ თავს წარმოადგენს უზენაეს თანამედროვე სიკეთედ, თუმცა კი არ განიცდის არანაირ სწრაფვას უკვდავებისაკენ. „ვიტალური პროცესი" ანაცვლებს უკვდავების ძიებას: ეს ცნება ფუნდამენტურ ნიჰილისტურ ღირებულებად იქცევა. ამ ხანგრძლივი, გაწელილი პარადიგმული ცვლისას უკვდავებიდან – ვიტალურ პროცესებამდე, რომელიც ტექნოლოგიასა და მეცნიერებაშია დაფუძნებული, არენდტი განსაკუთრებით უტევს მარქსს, რომელიც ადამიანს ბუნებას მიაჯაჭვებს იმაზე მითითებით, რომ „აზროვნების პროცესი თვითონ არის ბუნებრივი პროცესი."[8] არენდტი არც იმ მეცნიერთა შემართებას ზოგავს კრიტიკისაგან, რომლებიც *animal laborans*-ის** ტრიუმფს ამყარებენ ყოველგვარ საკრალურ დინამიკას მოკლებული, თავისთავში და თავისთვის მყოფი სიცოცხლის ნიღბის მიღმა.

აზროვნების ამ მიმართულებათა საპირისპიროდ, არენდტი გვთავაზობს სიცოცხლეს, რომელიც „განსაკუთრებულად ადამიანურია": გამონათქვამი აღნიშნავს „მომენტს დაბადებასა და სიკვდილს შორის", როგორც *ნარატივის* მეშვეობით რეპრეზენტირებადსა და სხვათათვის გაზიარებადს. ესაა მის მიერ უწინ წაკითხული წმინდა ავგუსტინეს ახლებური გაგება, გამყარებული მისი, როგორც ქალი-ფილოსოფოსის გვიანდელი პოლიტიკური გამოცდილებით. იგი შემდეგნაირად ჟღერს:

> მთავარი მახასიათებელი ამ განსაკუთრებულად ადამიანური სიცოცხლისა, რომლის მოვლინებაც და გაქრობაც განაპირობებს მსოფლიო ხდომილებებს, არის ის, რომ იგი თავისთავად ყოველთვის სავსეა ისეთი ხდომილებებით, რომლებიც საბოლოოდ, შესაძლოა, ამბად იქნეს მოყოლილი, მიიღოს ბიოგრაფიის სახე; ეს სწო-

---

* *ლათინ.* beate vivere – ბედნიერი, ნეტარი ცხოვრება; summum esse – უზენაესად ყოფნა (მთარგმნ. შენიშვნა).

** *ლათინ.* მშრომელი ადამიანი (მთარგმნ. შენიშვნა).